წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. ოთხშაბათი, 23 სექტემბერი 1915 წ. № 98

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი წერილების მი-
იღება „საქართველოს" რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ეღირება 5 მანეთი.

„საქართველოს" კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო" 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე ღირს 3 მ.—50 კ. მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი, [გაზ]ეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело", Московская 4, поч. [ящи]къ 76.

[კან]ტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

სახელოსნოს ქალაქში სხვა განყოფილება არ მოეპოვება.

ვკისრულობთ გადავაკეთოთ, გავწმინდოთ და ახლათ შევღებოთ საქალებო და სავაჟო ქუდები

სპეციალურად ვწმენდავთ სავაჟო „კოტელოკებს" და „ცილინდრებს".

აგრეთვე ვწმენდავთ პლიუშს, ხავერდს, და ვაყენებთ ბინგლს.

ვახუჭუჭებთ და ვწმენდავთ სირაქლემას ფრთას და ბოას.

ქუდების სახელოსნო დ. გ. გვახარიასი
გოლოვინის პროსპ. № 39.

სახელოსნოს ქალაქში სხვა განყოფილება არ მოეპოვება.

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: ტატიანის ქუჩა, მიხეილის ქუჩის ახლო, სახლი 6. ზემო სართული. ტელეფონი № 8—92.

„ხარფუხის კლუბი"
საზაფხულო სადგომი, მიხეილის პროსპექტი, № 131.
პროგრამა 23—28 სექტემბრამდე.

[ოთხ]შაბათს, 23 სექტ. ქართული წარმოდგენა. ბაღში დაუკრავს ორკესტრი. წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.
[ხუთ]შაბათს, 24 სექტ. ბაღში დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.
[პარ]ასკევს, 25 სექტ. სინემატოგრაფი. ბაღში დაუკრავს საზანდარი.
[შაბ]ათს, 26 სექტ. ოპერეტტა თათრულ ენაზედ. შესვლა ოპერეტკაზე უფასოა.
[კვი]რას, 27 სექტ. კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს პრესმანის ლოტბარობით სიმებიანი ორკესტრი.

სინემატოგრაფის დასაწყისი 8 ნახევარ ს. წარმოდგენების 9 ს.
სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან ჩვეულებრივ ფასს.

გადაწერას საწერ მანქანის საშვალებით და საწერ მანქანაზე მუშაობის სწავლებას
ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს
ი. თ. გ ათუას კანტორა
ვერის დაღმართი № 1
ტელეფონი 17—05

დოქტორი მედიცინისა
[illegible]
კალანდარიშვილი
[უ]მცროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—6 საათ, ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ახლად დაარსებული საამხანაგო
ფქვილის საწყობი „რაჭა"
[ვაჭ]რის მეპურეებზე და კერძო პირებზე ფქვილს ხელმისაწვდომ ფასებში. ჩერქეზი[შვი]ლის ქუჩა № 3. —2

კბილის ექიმმა
მამულაიშვილი
(ხოდნევისამ)
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

ძ. ზოგაში
ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი
იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.
აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქუჩა № 36, მეორე სართული.

## [ს]ალამისა-თვის

[კა]ვკასიის ეროვნებათა ნაირ-ნაირო[ბაშ]ი ქართველი ერი ისტორიულად ყვე[ლაზ]ედ უძველესი მკვიდრია, კულტურუ[ლა]დ—სხვებზედ უფრო ჭილაშერეული [და] ტერიტორიულად—სხვებზედ უფრო [კომ]პაქტური და მჭიდრო.

[ც]ვალებული სახიერება მისი, ისტორიის [ა]რეალ გადაღმა გამონაკვთული და [ერ]თა თუ სახელმწიფოთა ძალა-შეძლე[ბის] გარეშე ჩამოქნილი, იმ დღიდან ამ [დღემ]დე შეზავებულა და მყარად გან[მტკი]ცებულა თავისებური წარსული ცხოვ[რები]ს შინაარსით. და იგი ერი ქართ[ველ]ისა აწმყოშიც დგას ამ თავისებური [სახ]ით, საკუთარი სულისკვეთებით მოძ[რავ]ი, ქართული განცდით და მისწრა[ფებ]ით ჰურვილი. და არა როგორც კავ[კასი]ელი, რაიც ეთნო-ეროვნულ შინა[არსი]ს მოკლებული ცნებაა და როგორც [რომ]ლითაც ქართველობის პიროვნების ვერც [გა]მოთქმულია და ვერც დამახასიათებე[ლია], არამედ სწორედ როგორც ქართვე[ლი]. ე. ი. თავისი რეალი სახით და ში[ნაარ]სით, დაუხვდება ქვეყანა ესე მეფის [ნაც]ვალს, მის იმპერატორებით უმაღლე[სობა]ს, ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძეს. და [შეგ]ნებული შეგნება ქართველისა, ნათ[ლი]ს ძალით, დიდ მთავარს მიიჩნევს [მის] მოადგილედ კავკასიის საქართვე[ლო]ში.

[ა]რა როგორც კავკასიელი ერი ანუ [კავკ]ასიის სამეფო, არამედ როგორც [ქარ]თველი ერი

[...]

[...]ება რუსეთის იმპერიის მეფის ნა[ცვა]ლის, უავგუსტოესი გვარეულობის, [მობ]რძანებას.

[ის] ხუთმეტ წლის განმავლობაში [ხალხი]ს კავკასიის და მას შინა საქართვე[ლოს] მმართველს ხალისით და იმედით [ელოდ]ებია ქართველი ერი და ბევრი [იმედ]ლებია იმედ-გაცრუებულს, გულში [ღრმ]ად ჩაქცეულს და ბედისა შავად მა[დლი]ერს:

[...]

[უფ]რო უფრო ორიგინალ პოლიტიკურ [გარე]მოში უხვდება ქართველი ერი უზე[ნაესი] მმართველის ჩამობრძანებას ჩვენს [ქვეყ]ანაში: ჯერ ისა რომ დიდ იმპერიის ეროა თანაცხოვრობის პრინციპის გადასინჯვა საზრუნავ საგნად გადაიქცა რუსეთის მმართველ წრეებისა და პოლიტიკურ საზოგადოებრივ აზრისა. ძნელიძნელ მაგრამ მაინც ჰო, სახელმწიფო კეთილდღეობის შეგნება დამცველად გამოდის იმპერიის ფარგლებში მოყოლილ ერთა ეროვნულ-უფლებრივ თვითყოფობისა და თვითარსებობის. და მერე, ამისა პირველ ისა რომ ჩვენი ქვეყნის უავგუსტოესმა მმართველმა, სრულიად რუსეთის მხედრობის მთავარსარდლობის ჟამს, ბრძოლის ასპარეზი აკურთხა პოლონელი ხალხის ეროვნული უფლების აღიარებით: მან პირველმა ღაღადჰყო იგი უფლება, უუწმინდესი უფლებათა შორის, მთელი განათლებული კაცობრიობის გასაგონად. მისმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ ჩვენი ქვეყნის ახალმა მმართველმა შეჰქმნა პრეცედენტი უუსამართლესი პოლიტიკური აქტისა, რომელსაც არ იწყნარებდა და არ იცნობდა წარსული რუსეთი და რომელიც აწინდელმა მმართველმა რუსეთმა დააკანონა კიდეც სახელმ. სათათბიროს გახსნის ისტორიულ დღეს, ივლისის ცხრამეტში. თავის ხანგრძლივ არსებობაში რუსეთმა პირველად გამოაკრთო ერის უფლების სხივი და დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, აწინდელი უავგუსტოესი მმართველი ჩვენი ქვეყნისა, იყო პირველი მაყივარი ამ უფლების განთიადისა.

აი ასეთ განსაკუთრებულ საერთო გარემოში, ასეთ განსაკუთრებულ ფსიხოლოგიურ განცდა-ლოდინის ხანაში, მობრძანდება მეფის ნაცვლად განსაკუთრებული პიროვნება საქართველოს ძველ დედა-ქალაქში, რომელიც ელის თავის ბედის ვარსკვლავის გამოკაშკაშებას.

და ქართველი საზოგადოება ხალისით მიეგებება ერის უფლების მაღიარებელს, რადგანაც ქართველის მიწას სწყურია, ქვეყნის წყურვილით, განთიადის მზის დაყივლების მოსმენა.

კეთილიმც იყოს მეფის ახალი ნაცვლის მობრძანება ჩვენს შორის!

[...]

ბოროტმა ძალამ, მათ ვინც პირადი სარგებლობის თვალით უცქეროდნენ ომს მოისურვეს ესარგებლად იმათი მდგომარეობით, ვინც უწმინდესი და უმაღლესი მოქალაქობრივი მოვალეობის შეგნებით ჩაერია ომში, მათ ვინც თავის ბედნიერებას სხვის უბედურობაზე აშენებდა, გამოიწვიეს აჭარის გაოხრება, ქართველი ერის თავმოყვარეობის და შეგნების სასიკვდილოდ დაკოდვა.

აგერ თითქმის წელიწადი ტრიალდება, საქმეს თითქოს სხვა მიმართულება ეძლეოდა, მაგრამ აჭარის ვაკხანალია ჯერ არ არის დასრულებული. დღესაც სისხლის სამართალში არიან მიცემულნი მრავალი ჩვენი მოძმენი, დღესაც არ შეგვშრობია ცრემლი მათი უბედურობით გამოწვეული, ვერ მოგვიკლავს ბოღმა გულისა და ვერც შელახული თავმოყვარეობა აღგვიდგენია.

და ვერც შევძლებთ ამას, სანამ არ მოვისმენთ პატრონსანს, კეთილშობილს სიტყვას, სანამ არ დავინახავთ დამნაშავეთ, ვინთ ასეთი ცეცხლი მოსდო ჩვენს ეროვნებას,

დღეს, მათის უმაღლესობის მობრძანებით ვიმედოვნებთ, რომ გვაკმარებენ ამდენ ტანჯვას.

აჭარა ჩვენა ვართ და ჩვენ კი მათი უმაღლესობა გვიცნობს იმ სამასი ათასი ქართველი ჯარისკაცის და ათი ათასი აფიცრის სახით, რომელიც იბრძოდა და იბრძვის მათ უავგუსტოესი ხელმძღვანელობის ქვეშ.

[...]

შ. ივერი.

## „რწმენის ვექსილი"

ცნობილი რუსი პუბლიცისტი გ. პეტროვი გაზ. „რუსკოე სლოვოში" სწერს: „მე შემეჯავრა ჩვენში ცნობილ დ გავრცელებულ ფრაზის ხსენება, რომ „რუსეთისა რწმენაა საჭირო" (მგოსან ტიუტჩევის ლექსიდან). მე ვფიქრობ—გულისწყრომით განაგრძობს გ. პეტროვი—ასეთი დაჟინებული მოთხოვნა „რწმენისა" პირდაპირ რუს ხალხისათვის დღეს შეურაცხყოფად უნდა ჩაითვალოს. რადგანაც, როდემდის უნდა ვიცხოვროთ კრედიტით და ამ „რწმენის ვექსილით"? დროა ეს ვექსილი გავანაღდოთ".

მართლაც, ბ. პეტროვისა არ იყოს, ამ რწმენის ვექსილის" განაღდება დღეს მეტად საჭიროა.

მით უფრო, რომ ეხლანდელ სახიფათო დროს მეტად ძნელია მარტო რწმენით ცხოვრება.

და რუსეთის ხალხის მოწინავე წრეების წინ მარტოდ მარტო ეს კითხვაა ამართული:

„რწმენის ვექსილის" განაღდებისა.

მასთან განაღდება რწმენისა თავის უნარობისა და ცხოველმყოფობისა საჩქაროდ უნდა მოხდეს.

რადგანაც მის უკან ატუზულა მრავალი პოლიტიკური კრედიტორი იმავე—„რწმენის ვექსილებით".

რომლის განაღდებას მოუთმენლად ელის და მოითხოვს.

დ. კახელი.

# ომის ამბები

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### ბულგარეთის სულიერი განწყობილება შეიცვალაო.

ხმებმა, რომ დასავლეთის ფრონტზე მოკავშირენი თავდასხმაზე გადვიდენ და იმ ამბავმა, რომ საბერძნეთმა საერთო მობილიზაცია მოახდინა, გუნება შეუცვალა ბულგარეთსაო. ამის საბუთად მოყავთ ის გარემოება, რომ სამინისტროს თავი დაანება ცნობილმა გერმანოფილმა ბ-ნმა ტონჩევმა, ფინანსთა მინისტრმა.

— —

ბულგარეთის გუნების გამოცვლა იმ უტყუარმა ცნობამაც გამოიწვია, რომ მოკავშირეთ გადაუწყვეტიათ სერბიის მისაშველებლად სალონიკში საექსპედიციო კორპუსის გადმოსხმა.

— —

ათინაში, სჯერათ მოკავშირეთა ენერგიულმა მოქმედებამ შეიძლება ბულგარეთს ფრონტი უცბად შეაცვლევინოსო.

### ბულგარეთი სურსათს უგზავნის ოსმალეთს.

სტამბოლიდან მოსული ცნობები ნათელმა ყოფენ, რომ ბულგარეთი ოსმალეთთან ხელშეკრულობის დადების უმალვე შესდგომია აყარებელ სამხედრო მასალის მიწოდებას ოსმალეთისთვის.

### ბულგარეთს არ დაუჯეროთო.

ათინის პოლიტიკურ წრის მაღალ ლირსეულ წარმომადგენელს განუცხადებია: წინანდებურად ბალკანეთის მდგომარეობა კრიტიკულია. მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთმა მობილიზაციით გასცა პასუხი ბულგარეთის მობილიზაციას, ბულგარეთის კრიზისი შორსაა საბოლოო

გამორკვევაზე. ომის დაწყებიდან ბულგარეთი ორჭოფულ პოზიციას არ იშლიდა, ვიდრე არ დაუდგა ხელსაყრელი დრო თვის ზრახვის ცხად საყოფელად. რომ საბერძნეთის მობილიზაცია არა, ბულგარეთი უკვე თავს დაესხმოდა სერბიას. მაგრამ საბერძნეთის მობილიზაციამ დავთარი დაუბნია ბულგარეთის პოლიტიკოსებსაო. ეხლა ბულგარეთი კვლავ შეეცდება შეთანხმების სახელმწიფოებთან მოლაპარაკების გამართვის დროს შესარჩევად. ხოლო შეთანხმების დიპლომატები უნდა ფრთხილად იყვნენ და პირველი შეცდომა არ განიმეორონ. ბულგარეთი იყო და დარჩება სერბიის მტრადაო.

**ბულგარეთის გარშემო.**

ბუქარესტიდან იტყობინებიან, რომ ბულგარეთში მატარებლების მიმოსვლა შესწყდა. ამ ჟამად მხოლოდ ჯარები გადმოჰყავთ სერბიის საზღვარზეო. განსაკუთრებით ეზიდებიან იმ ჯარებს, რომელნიც ფრიად დაშორებულია ცენტრთან.

**ინგლისელები რუსეთის ულტიმატუმის შესახებ.**

ლონდონის პრესა მხურვალედ მიეგება რუსეთის ულტიმატუმს ბულგარეთისადმი. რუსეთმა ერთად-ერთი სწორი გზა აირჩია. ბულგარეთმა თავისი ნებით ხელი მოაწერა თავის სიკვდილის განაჩენსაო.

**გერმანელი სპეციალისტები ბულგარეთში**

სტამბოლიდან და შიდა გერმანიიდან მთელი რიგი სპეციალისტებისა მიედინება ბულგარეთში.

**ფრანგები მოდიან საშველად.**

ათინიდან იტყობინებიან, ფრანგები ჯარებსა ჰგზავნიან სერბიის დასახმარებლადაო. პირველი ტრანსპორტი გადმოსულა ყარაბურუნთან. ზოგის გადმოსხმას აპირებენ სოლუნშიც. ბულგარეთიც აჩქარებს თვის ჯართა კონცენტრაციას სერბიისა და ბერძნების საზღვარზე. ოსმალეთის ჯარის ნაწილი ჩატალჯაშია. ამბობენ, ბულგარეთი ავსტრო-გერმანელ ჯარებთან ერთად სერბიას დაესხმის მომავალ კვირაშიო.



მათი იმპერატორობითი უმაღლესობა მეფის ნაცვალი კავკასიისა დ. დი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე

**Victoire**

მარნაზე გამარჯვების შემდეგ საფრანგეთის ცენზურამ პირველად დართო ნება ეხმარათ ფრანგულის მაგიური სიტყვა Victoire, (გამარჯვება) შამპანში ბრძოლის შედეგის აღსანიშნავად.

**გერმანიაში.**

„Berliner Tageblatt"-ი სწერს: მოკავშირეთა შემოტევა სრულიად შეჩერებულია. მეტიც, ზოგიერთ ადგილას გერმანელებმა უკან დაიბრუნეს კიდეც წართმეული პოზიციები.

**გერმანელი სოც.-დემ. ბელგიაში.**

გერმანულ გაზეთების ცნობით, ოთხი სოციალ-დემოკრატი—დეპუტატი, რომელთაგან ერთი ცნობილი ანექსიონისტი შეიდემანია, მეორე ცნობილი სოციალისტი მწერალი ედუარდ დავიდი და ორი სხვა, ჩამობრუნდენ ბელგიიდან, სადაც ისინი წავიდნენ ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობის შესასწავლად.

**სამსახურში ეძახიან ყველა მამაკაცს.**

შვეიცარიის მთავრობას განკარგულება გამოუცია, რომ ყოველი მამაკაცი, განურჩევლად ხნოვანობისა, გამოცხადდეს სამხედრო საკრებულოშიო; ეს იმ მიზნით ხდება, რომ გამოარკვიონ თუ რამდენი კაცი ეყოლება რესპუბლიკას საჭიროების დროს, იარაღის მოხმარების შემძლეო.

**სხვადასხვა მოწოდებები.**

ბერლინში სხვადასხვა გვარი მოწოდებები გამოდის ბლომად. ერთ სტამბაში პოლიციამ დაიჭირა 12,000 ცალი მოწოდება: „ანექსიონისტების ბოდვა".

———

ავსტრიის მთავრობა პროფესორ მასარიკს დაჭერით ემუქრება, რომელსაც უცხო სახელმწიფოებში ავსტრიის სამტრო აგიტაციას აბრალებენ. ხაზინამ მას ჯამაგირის ძლევა მოუსპო.

———

სამხედრო პირთა მოსაზრებით შვეცია-საფრანგეთის საზღვარი დროებით დაკეტილია მგზავრთათვის.

———

პარიზში გარდაიცვალა სხვა სახელმწიფოებშიაც კარგად ცნობილი მწერალი რემი დე-ჰურმონი.

**ჰაეროპლანები**

მოკავშირეთა საჰაერო ესკადრა 12 ჰაეროპლანისაგან შემდგარი თავს დაესხა აახენსა და მის მიდამოებს. გადმოსროლილ ყუმბარებისაგან ცეცხლი მოედო აახენის მახლობელ სადგურ როერდეს, რომელიც რკინის გზათა კვანძს წარმოადგენს და დიდი მნიშვნელობა აქვს ფოლადის ჩამომსხმელი ქარხნის სიახლოვის გამოც. ყუმბარებმა დააშავეს აგრეთვე თვით აახენის სადგური და რკინის გზის ლიანდაგი.

**გერმანელების მარცხი არგონებში.**

ფრანგული გაზეთების სამხედრო მ... მომხილველები დიდ მნიშვნელობას ა... ლევენ გერმანიის კრონ-პრინცის დამარ... ცხებას არგონებში. კრონპრინცი ოთ... ჯერ ცდილა ფრანგების ჯარის კედლე... ბის გარღვევას, მაგრამ ოთხჯერვე უ... უგდიათ.

**ვილჰელმისა და ბავარიის მეფის შეხვედრა.**

გასულ კვირას ნიურენბურგში იმპერატორი ვილჰელმი შეხვდა ბავარიის მეფ... ლიუდოვიკს.—ქალაქმა დიდი მანიფე... სტაცია გაუმართა იმპერატორს, თუმ... არ იყო გაფრთხილებული მისი ჩამოს... ლის შესახებ. მეფე ლიუდოვიკმა ვილ... ჰელმს მიართვა ბავარიის საფელდ-მარ... შალო კვერთხი.

**გერმანული გაზეთი ფრანგების შემოტევის შესახებ.**

გერმანელები აღიარებენ, ფრანგები... შემოტევა შამპანში შეუმუსვრელი ძლიე... რებისა იყოო. „ფოსიშე ცეიტუნგი" იუ... წყება, გერმანელებს მაშველი ჯარებ... მოუვიდათ საფრანგეთის ფრონტზე... ამის მიუხედავად ბრძოლას საშიშარ... პირი უჩანს და ერთობ მძიმე პირობებში... გაიშლება, რადგანაც ფრანგები უფრო... ძლიერები არიან. შამპანში გერმანიი... ჯარებს რომ სარდლობდა, იმ პირს უთ... ქვამს ხსენებულ გაზეთის კორესპონდენ... ტისთვის: „ეს რაღაც საშინელი შემო... ტევა იყო. ფრანგებმა არაჩვეულებრივ... ენერგიით მოიტანეს იერიში. ფრანგები... არტილერიის მოქმედება უფრო ძლიერ... იყო ვიდრე ოდესმე. ზამთრის ცნობილ... ბრძოლა შამპანში შედარებით ამასთან... უბრალო თამაში იყო. მაგრამაო, დაუ... ძენია გენერალს, მალე ვიჯერებთ გულ... საო.

# სისხლის სამართლის კანონმდებლობა საქართველოში

**მეფე ვახტან VI-ის კანონთა კრებულის მიხედვით)**

(გაგრძელება, იხ. „საქართ." № 98).

**3. დანაშაულობა პატივისათვის.**

პატივის შემეცნება სხვა და სხვა დროს სულ სხვა და სხვა გვარად ესმის ხალხს. რომაელებისთვის, მაგალითად, პატივი (etistimatia) ნიშნავდა ღირსების შეურყეველ მდგომარეობას, ეს იმ ღირსების შეურყევლობა, რომელიც რომაელ მოქალაქეს ეკუთვნოდა. ვინც კი მოქალაქე არ იყო, ვერ სარგებლობდა პატივით. პატივის ამგვარ სახელმწიფო შემეცნებას სრულებით ეწინააღმდეგებოდა გერმანელთა სუბიექტივური შეხედულობა პატივზე, როგორც ამას ამბობს ფაინიცკი [1]). მათი აზრით პატივი ეს შინაგანი ღირებულებაა, რომლის გამოხატულობას ჰპოვებს პიროვნებაში და იმ წრის შეხედულობასა და აზრში, რომელსაც იგი ეკუთვნოდა. როგორც პიროვნების ზნეობრივ მნიშვნელობის მატარებელი, პატივი ყოველ პიროვნების საკუთრებას შეადგენს, სახელმწიფო მდგომარეობის მიუხედავად. მისი ფარგალი დამოკიდებული იყო ისტორიულად შექმნილ გარემოებათა პირობებიდან, მაგალითად, ის რაც რაინდისთვის სამარცხვინო იყო, უბრალო მოქალაქისთვის სრულებითაც არ შეადგენდა სამარცხვინოს. რუსულ უფლებაში წყენის უძველესი შემეცნება უდრიდა უფლების დარღვევას და ფრიად ფართო ფარგალში სწარმოებდა; მაგრამ პირად უფლების შემეცნების გარდა, სლავიანთა ტომებში განვითარებული იყო გვარის მნიშვნელობაც, თუ ვისგან, რომელი გვარიდან მომდინარეობდა ამა თუ იმ პირის პატივი. შემდეგში, მოსამსახურეთა კლასის განვითარებასთან ერთად პატივი გავლენას ახდენს სამსახურის მიხედვით: თავადთან სამსახური ეს დიდი რამ იყო. ადამიანის ღირსება გვარის ღირსებაზე იყო დამოკიდებული, ესე იგი, იმისდა მიხედვით, თუ ეს გვარი რა სამსახურს ეწეოდა, ვისთან, ან სახელმწიფოს რომელ ფუნქციას ასრულებდა.

ქართულ სამართალში პატივის ძირითადი იდეია, ჩემის აზრით, დამყარებულია გვარზე. ამ აზრის სასარგებლოდ ჰლაპარაკობს თვით დასჯის ხასიათი, რომელიც გვარის მიხედვით ისაზღვრება. ასე, მაგალითად, აღბუღას კანონში 161 მუხლში ნათქვამია: „პირადი წყენის მსჯავრი წარჩინებულთა, აზნაურთა და გლეხთა შორის სხვა და სხვა სახითა ჰხდება, როგორც მაგ. 20 ათ., 10 ათ., 5 ათ. და სხვა, გვარის ღირსების თანახმად". ამავე აზრით გამოსთქვამს 160 მუხლი იმავე კანონებისა, როდესაც წყენისთვის სხვა და სხვა ხარისხის სასყიდელს მოითხოვს „ნაწყენის გვარის ღირსების თანახმადაო". ვისაც სისხლის ფასი სრულად უნდა გადახდეს მამულის მიხედვით, 18000 ვერცხლი, მას გიორგის კანონის ძალით 300 ვერცხლი ჰხდება. აზნაურებს და ხევის მამასახლისებს, ნათქვამია 30 მუხლში, 150 ვერცხლი წყენისთვის; წარჩინებულ მცხოვრებთათვის 30 ვერცხლი; „ამნაირადვე ჰხდება ყველას,—განაგრძობს „გიორგის კანონის" მე-31 მუხლი,—სრულს დაკმაყოფილების მიხედვითაო".

პატივის შელახვას ვახტანგის სამართლის მიხედვით ეკუთვნიან: ა) შეურაცხყოფა სიტყვით, ანუ საქმით; ბ) ცილისწამება, საიდუმლოს გამომჟღავნება; გ) ცრუ დასმენა; დ) სიწმიდის შელახვა და სხვა. სასჯელის ხარისხი განისაზღვრება აგრეთვე სხვა პირობებისგან, მაგალითად, საკითხია, რა წოდებისაა, რა სამსახურშია, რა დამოკიდებულებაში იყო დამნაშავე ნაწყენ პირთან, რა ადგილს მოხდა და ბოლოს თვით წყენის სიმძიმე. მაგალითად, პატივი ექიმისა, ბერისა, მქადაგებლისა და საზოგადოდ „საღმრთო წერილით განსწავლულ პირთა", განსაკუთრებულის მფარველობით არის აღჭურვილი და არავისა აქვს უფლება შეურაცხყოფა მიაყენოს ცემით, გინებით, ანუ დევნით, პირიქით,—ნათქვამია 137 მუხლში სომეხთა კანონებში,—უნდა მათ პატივს ვცემდეთ, ვინაიდან თუ პირველნი სხეულს ჰკურნავენ, მეორენი—სულს. „ეგრეთვე მოხდების დედ-მამაში, სხვა რამ უმართლო მოხდეს, თუ გამოჩნდეს კათალიკოზმა და მეფემ გადაახდევინოს, თუ არ გამოჩნდეს, მოძღვარმა იცის მისი კანონი", ვკითხულობთ ვახტანგის სამართალში, 79 მუხლში.

რაც შეეხება წყენის სხვა და სხვაობას სიმძიმის მიხედვით, ასეთ რიგზეა ჩამოთვლილი მისი ხარისხი: მძიმე წყენად ითვლება ისეთი საქციელი, როგორც მაგალითად, არს ვისიმე თოკით შეკვრა, ანუ თვალების ახვევა. ორთავე სისხლის დაგვარად ფასობს", ვინაიდან,—ვკითხულობთ აღბუღას კანონის მე-22 მუხლში, ასეთი წყენინება თვით სიკვდილზეც უარესია". მძიმე დანაშაულად არ ითვლება სიტყვიერი წყენინება: „თუ კაცმან კაცს აგინოს ჯარში,—ვკითხულობთ ვახტანგის სამართლის მე-226 მუხლში,—ამ კაცმან მოსამართლესთან რომ უნდა იჩივლოს, მოსამართლემ გასინჯოს, ბრალი ჰქონია, თუ უბრალო უგინებია და გაულანძღავს და მართალი გამოვიდა ნაგინები კაცი, მოსამართლემ დატუქსოს მაგინებელი, სწვართოს და შეაგინოს, რას ემართლებოდა, რად შეარცხვინა". მაგრამ თუ დიდებულმა შეაგინა ღვდელმთავარს, მაშინ აღბუღას კანონის მე-107 მუხ. ძალით მან უნდა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ 40,000 ვერცხლი გადაიხადოს და თან „ცოდვათა მონანიება შესთხოვოს": „თუ შემგინებელი გამოდგა აზნაური, მაშინ იგი იხდის ასოცი ათას ვერცხლს; აგრეთვე ესეც მოვალეა ცოდვათა პატიება გამოითხოვოს", (108). რაც შეეხება ყმის მიერ ბატონის შეურაცხყოფას, ბერძნულ კანონების თანახმად, ყმა სასტიკად იქნება დასჯილი. ასე მაგალითად, მე 173 მუხლში ნათქვამია, რომ ის მონა, რომელიც წინააღუდგება ბატონს, განიდევნება სამშობლოდან; ასეთსავე სასჯელს მიაყენებენ განთავისუფლებულს, თუ ძველ ბატონის თამბაზე მოჰყვება ცილისწამებას: ხოლო თუ მან შეაგინა ბატონის შვილები და მათი უპატივცემლობა გამოიჩინა, მაშინ იგი კვლავ მათი მონა ხდება, „ვითარცა უხმარი მონა". ქალის შეგნინებისთვის აღბუღას კანონის თანახმად შეურაცმყოფელისგან აიღებენ თორმეტამდე კაცს ორთავე სქესისას. რა თქმა უნდა, დამოკიდებულია შეურაცყოფილ ქალის ღირსებისა და გვარისაგან ბერძნულ კანონების თანახმად შეურაცყოფილს უფლება აქვს წლის განმავლობაში აღძრას საჩივარი. მე-94 მუხლის ძალით ვინც შეურაცმყოფელს შეურიგდება ვერცხლის ფულისთვის, ისიც დაისჯება, ვითარცა ანგარებით მოცული ადამიანი.

ბ) ცილისწამება, ანუ იმ ამბის გაქვეყნება, რაიც ადამიანს ჩირქს მოსცხებს, ვახტანგის სამართალში სხვა და სხვა სახით ინმარტება. ასე, მაგალითად, აღბუღას კანონებში ნათქვამია, ეს უდრის თვით ქმრის შეურაცხყოფას, რაზეც უნდა პასუხი აგოს (144 მუხლი). იმავე კანონში ნათქვამია, თუ რომელიმე ქალს შესწამეს ჯადოქრობა, ამისთვის ნახევარ სისხლის ფასად აგებს პასუხსაო (147 მუხლი). ბერძნული კანონების ძალით განთავისუფლებულ მონის მიერ ცილისწამება თვის ყოფილ ბატონზე ისჯება პირველის სამშობლოდან განდევნით (174 მუხ.). ქმრის ცილისწამება ცოლზე სომხური კანონების ძალით სულ თავისებურად ისაზღვრება: „ვინც ქორწინის შემდეგ შეიძულებს თავის ცოლს, ვკითხულობთ სომეხთა კანონების მე-180 მუხლში, ვითომც ის უმანკო არ იყოო, მაშინ ცოლს გადასცემენ ქალებს შესამოწმებლად. თუ გამოდგა, რომ ქმარი სტყუის, მაშინ შეუბრალებლად უნდა სცემონ მას. ამის გარდა ჯარიმად ახდევინებენ 100 დრახმა ვერცხლს. შემდეგ ცოლს ჩააბარებენ და თანაც ვალად აკისრებენ წესიერად მოეპყრას მას."

გ) ცილისწამებას უდრის კიდევ ერთი სახე პატივის შეურაცხყოფისა, ეს გახლავთ **ცრუ დაბეზღება**. ვახტანგის სამართლის მიხედვით ცრუ დამბეზღებელი ისჯება იმისდაკვალად, თუ რა იყო დაბეზღების საგანი (253). კერძოდ ცრუ დაბეზღებაზე პირდაპირი დადგენილებაა აღბუღასი, ბერძნულსა და სომხურს კანონებში.

„თუ ვინმე უმიზეზოდ დააბეზღებს ვისმეს მის ბატონის წინაშე და ამ დაბეზღების წყალობით ბატონი ჩამოართმევს მამულს, განდევნის და გააგლახაკებს, ხოლო თუ შემდეგ დაიბრუნა იგი, გამოჰკითხა და მის სიმართლეში დარწმუნდა, მაშინ შეურაცყოფილს უფლება აქვს შური იძიოს მაბეზღარზე, აინაზღაუროს მისგან წანახედი და, ამის გარდა, უმსჯავროდ დასაჯოს, ვინაიდან ასეთი საქციელი უფრო საგულისხმიეროა ვიდრე ღალატი მოყმისა თვის ბატონის წინაშე. ამის გარდა, მებატონეს უფლება აქვს ეს საქმე განსახილველად გადასცეს სამსჯავროს", (აღბუღას კანონები, 41 მუხ.).

იმავე კანონის მე-133 მუხლის ძალი... უსამართლო დაბეზღებისათვის ბატონ... წინაშე ნაწყენს უფლება აქვს სისხლ... სრული დაკმაყოფილება მოითხოვ... ბერძნულ კანონების მიხედვით მე-14... მუხლის ძალით, როდესაც ვინმე ა... ღებს ღვდელ მთავარს ანუ რომელ... სასულიერო პირს, უნდა საქმე გან... ლოს სწრაფად, სასტიკად, დაბეზღე... ლი კერძო ინტერესებით ხომ არ ს... გებლობდა, ვთქვათ, რომ ღვდელ-მ... რისთვის ტყუილა უბრალოდ ლაქა... ეცხო, რომ მან, ვთქვათ, წყევლა მო... მაზე ცოდვისთვის. „ამას გარდა, ... გაირკვეს, დაბეზღებული ხომ ერეტ... სი არ არის, ანუ გარდმოხვეწილი, ... მკვლელი, ლოთი, გახრწნილი, ავაზა... თუ ასეთ რამეში შენიშნული არის ... ბეზღებელი, მისგან არასფერს არ... იღებენ არც ღვდელ-მთავარზე და ... საზოგადოდ რომელიმე სასულიერო პ... ზე. იმ შემთხვევაში, თუ მაბეზღარი ... ნიშნული არაფერშია და წმინდა გამ... გა, ხელწერილს იძლევა წინდაწ... რომ თუ ვინიცობაა არ გამართ... მისი სიტყვა, მაშინ იმავე სასჯელით ... ჯება, რაიც მოელოდა დამბეზღე... პირს იმ შემთხვევაში, თუ მის შეს... მოტანილი ამბავი მართალი იქნებო... „მაგრამ თუ მისი მოტანილი ამ... ტყუილი გამოდგა,—ნათქვამია იმავე ... ლის ბოლოში,—მაშინ ვერც მეფე, ვ... მაჯული, ვერც ეკლესია ვერ იხსნის ... ვინაიდან მან შეურაცხჰყო ღვდელმ... ვარი, შეურაცხჰყო ეკლესია და ტყუ... უბრალოდ აწუხებს წმიდა ეკლეს... მსახურთ". ესა და შემდეგი მე-141 ... ლი გადმოღებულია მეექვსე და მეო... მსოფლიო კრების მეექსე და 21 ... დებიდან. ამავე აზრს გამოსთქვამს მე-... მუხლი. ხოლო 167 მუხლი ბერძნ... კანონებისა შემდეგს ამბობს: „ყმის მ... დაბეზღება თავისი ბატონისა, თუნ... რომ იგი მართალი იყოს, არ არის ... წუნარებელი და თვითონ ყმა უნდა ... საჯოს; თუ დაბეზღების საგანი მკვ... ლობაა და ეს მართალი გამოდგა, ... მაბეზღარს ანთავისუფლებენ და ... გვარ პატივით ეპყრობიან მის ბეზღ... ბას.

სომხურის კანონების მიხედვით ვ... ვინმეს მკვლელობას დააბრალებს, ... რაიმე დანაშაულს მოახვევს თავზე ... ფაქტიურად ვერ დაამტკიცებს სამსჯა... როს წინაშე, სიკვდილით ისჯება" (... ლი 107).

(შემდეგი იქნება)

ვ. კიზირია

[1]) И. Я. Фойницкій, Курсъ угол. пр. (честь особ.). стр. 100.

**მ ე ქ უ** (სპარსეთი).

მაკუს მფლობელმა კავკასიის უავგუსტოესი მეფის ნაცვლის, დიდი მთავრის **ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისაგან** შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო:

„სულით და გულით მადლობას გიძღვნით გულკეთილობისა და ერთგულობისათვის. დარწმუნებული ვარ, რომ ერთგულნი მექუელები პირნათლად აასრულებენ თავიანთ მოვალეობას რუსეთის წინაშე“.

გენერალ-ადიუტანტი **ნიკოლოზი.**

ეს დეპეშა იყო პასუხი შემდეგი დეპეშისა, რომელიც მექუს მფლობელმა მის იმპერატორებით უმაღლესობას დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს გაუგზავნა.

მისს იმპერატორებითი უმაღლესობას დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს.

„ბედნიერი ვარ, რომ შეძლება მეძლევა მოგეგებოთ და მოგილოცოთ კავკასიაში მეფის ნაცვალობა და მთავარსარდლობა კავკასიის ჯარისა. მე და ჩემი ხალხი ყოველთვის ვიყავით და ვიქნებით რუსეთის მთავრობის ერთგულნი, და თქვენი მფარველობით ყოველთვის მზად ვართ გავწიოთ აუცილებელი დახმარება.

მექუს მმართველი **ნეიმატულახანი.**

**გერმანელები დასავლეთის ფრონტს აშურებენ.**

ამსტერდამიდან იტყობინებიან, რომ ბელგიის რკინის გზით 32 მატარებელმა გაიარა დასავლეთ ფრონტისკენ ჯარების გასაძლიერებლად. გერმანელები ამაგრებენ ნამიურს, ლიეჟესა და გენტსა. ყოველგან დიდ-დიდი ზარბაზნები დასდგეს.

**გერმანული პრესის პილულები.**

დასავლეთ ფრონტზე გერმანელთა მარცხზე ბერლინის პრესა ახმაურდა, მაგრამ შფოთვა თვისი დამამშვიდებელ პილულებით დაათავეს: ჩვენ ვენდოთ ჩვენს სარდლებს, სრული იმედი გვქონდეს, რომ გავიმარჯვებთო.

# შტაბის დეპეშები

თბილისი, 21 ენკ. 19 ენკენისთვემდე საზღვაო ნაპირებში ოსმალებმა სროლა დაუწყეს რუსთა პოზიციებს. დანარჩენ ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

პეტროგრადი, 21 ენკ. ოფიციალი. დვინსკთან, შუადღისას, გერმანელებმა ქარიშხალისებური ცეცხლი გამოუშვეს. შამკოვოს ერთ-ერთ რაიონში, რკინისგზისა და სვენტის ტბის შუა. გერმანელთა მხრით მსხვილი კალიბრის ზარბაზნებიდან ისროდნენ, ხშირად 8 დიუმიანიც კი მოიხმარეს. გაშმაგებულ ცეცხლით ზურგ გამაგრებული გერმანელები იერიშით გამოქანდნენ და რუსთა მოწინავე თხრილები დაიჭირეს. თავის მხრით რუსებიც კონტრიერიშით ეკვეთნენ. გერმანელებმა ახლა ამათ ცეცხლს ველარ გაუძლეს და დიდი ზარალით უკუიქცნენ. მდ. მაძიოლკასთან, (დვინსკის ტოტია) ადგილ-ადგილ მეტად მძაფრი და თავ-განწირული ბრძოლაა სოფელი ბოროვია რუსებმა აიღეს, ამასთანავე წამოიყვანეს ტყვეები და ტყვიისმფრქვეველები. სოფ. გალიაკიდან და კოზლიდან რუსებმა ხიშტებით გამორეკეს გერმანელები. მდ. სპიაგალისთან, ვიშნევის ტბის სამხრეთით, რუსის ჯარები ზოგიერთ ადგილას მეორე ნაპირზე გადავიდნენ. ჩერემიცი-სტახოვცის რაიონში სამასამდე ჯანმრთელი ტყვე წამოიყვანეს, 5 ოფიცრითურთ, სხვათა შორის 19 არტილერისტია და ერთიც მათი ოფიცერი. ამის გარდა, რუსებს ხელთ ჩაუვარდათ 4 ტყვიისმფრქვეველი და მრავალი დავლა. სმორგნიდან პრიპიატამდე მდგომარეობა უცვლელია. სტოხოდის შესართავთან გერმანელებმა აიღეს სოფ. პოჟომი, მაგრამ ენერგიული იერიშით რუსებმა კვლავ დაიბრუნეს. სოფ. სოვეშჩიციდან (სტირზე) და სოფ. კოსტიუხნოვსკიდან რუსებმა გასდევნეს გერმანელები. ტყვედ წამოიყვანეს 200 ჯარისკაცი 2 ტყვიისმფრქვეველითურთ სტირზევე რუსები მარჯვედ გადავიდნენ პოლონთან და სოფ. ცმანიდან განდევნეს მტერი. ასევე მარჯვედ გადავიდნენ სოფ. კოზლიჩთან, ჩარტორის ქვემოდ.

19 ენკ. შავზღვაზე ნაღმოსანი „ზავეტნი“ ტრაპიზუნდის ახლოს, ერთი იალქნიანი ნავი დაიჭირეს და ბათუმში მოიყვანეს.

გერმანელთა ტყვეები, მიუხედავად სასტიკი მუქარისა, მაინც აღიარებენ, რომ ჩვენი ჯარები მოიქანცნენო.

# სალამი ქველი ქართველისა

საქართველოს დედა ქალაქ თბილისს დღეს მობრძანდება მეფის ნაცვალი, დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე. ქართველი ერი კეთილისა და წრფელის გულით მიეგებება მათს იმპერატორებით უმაღლესობას და უსურვებს ყოველს სიკეთეს და ბედნიერებას.

მწყემსი კეთილი, ბრძენი და ხელოვანი გამგე და მმართველი ქვეყნისა დიდი ბედნიერებაა ერისათვის და რაკი ქართველობა ასეთ კეთილ მწყემსად იცნობს დიდ მთავარს, რაკი ქართველობა დარწმუნდა, რომ დიდი მთავარი პატივისცემით ეპყრობა პატარა ერთა უფლებას და წინააღმდეგია მათის ისტორიულის უფლების შელახვისა

დიახ, რაკი ყველა ამაში დარწმუნდა ქართველობა, ცხადია, რომ იგი გულწრფელ სალამს მიუძღვნის დიდ მთავარს და სასოებით და იმედით დაუწყებს ცქერას მათს სამოქალაქო და სამხედრო მოღვაწეობას ჩვენს ქვეყანაში. ამას მოჰყვება კეთილი შედეგი, ის შედეგი, რომელიც უმალ მიიყვანს ბედნიერების აზრზე როგორც იმპერიას, აგრეთვე მის ნაწილს—პატარა საქართველოს.

დღევანდელი საქართველო პატარაა ტანით და მამულ-დედულით, მაგრამ მუდამ ასეთი არა ყოფილა· მისი კულტურა დაქვეითებულია, მისი ეროვნული ხმა მიმქრალია, პოლიტიკური ღირებულობა დაფერფლილია, მრეწველობა და მეურნეობა სუსტი, განათლება ძალას და სიცხოველეს მოკლებული, მაგრამ, ვიმეორებთ, მუდამ ასე არ ყოფილა. იყო დრო როდესაც პატარა საქართველო ობოლ ვარსკვლავსავით ბრწყინავდა მთელ ამიერ კავკასიაში, როდესაც ერთად-ერთი ბატონ-პატრონი ამიერ კავკასიისა, შავი ზღვის პირიდან მოკიდებული კასპიის ზღვამდე, კავკასიის ქედიდან მდინარე არეზამდე იგი იყო. მაშინ პოლიტიკური და ეროვნული ღირებულობა საქართველოსი სულ სხვა იყო, ვიდრე დღესაა, მაგრამ ასეთი ვითარება დროებითია.

ქართველ ერს ძალაც შესწევს და ღონეც მოეპოვება პროგრესისა და წინმსვლელობისთვის. საჭიროა მხოლოდ ფართოდ გაეღოს კარი მის დაფარულ ძალებს, საჭიროა მოაშორონ ის ჰავა, რომელიც სულს უხუთავს ერს. მაშინ ცოცხალი ძალნი ერისანი სასწაულს ჩაიდენენ საბედნიეროდ ჩვენის ქვეყნისა და იმპერიისა.

დიდის მთავრის მობრძანებას საქართველოში მეფის ნაცვლად ქართველი ერის სწორედ ამ იმედით შეჰყურებს. იგი ჰფიქრობს, რომ დიდი მთავარი, მაღვიარებელი ერთა უფლებისა, ბორკილს არ დასდებს ქართველის ისტორიულ უფლებას და ჩააყენებს იმ ბუნებრივ რუსხმულში, რომლით სიარული, ანუ დენა საკეთილოა როგორც იმპერიისთვის, აგრეთვე ჩვენთვის. მუხის სიძლიერეს განა თუ რამე დააკლდება, ოდეს მის ტოტებ ქვეშ ხარობდეს ნაზი ია, ხოლო დამძრალი და თავჩაქინდრული ია არავისთვისაა სასიამოვნო. აღარაა არც სურნელოვანება და აღარც სინაზე და სიტურფე.

ბევრნი განძრახ ივიწყებენ ისტორიას, წარსულს ეს შეუძლებელია. აბა თვალი გადაავლეთ ამ წარსულს და რას იხილავთ? იხილავთ, რომ პატარა საქართველომ დიდი ამაგი დასდო დიდ რუსეთს. პოლიტიკურ კონტაქტს საძირკველი ჩაეყარა 1783 წელს, ოდეს დიდმა ეკატერინემ და ერეკლე მეორემ ვალად დაიდეს ერთურთის დახმარება და ხელის გაწვდენა. ამ დღიდან საქართველომ დახშული კარი დარიალისა გაუღო რუსეთს. გიორგი მეფეს მწარედ ჰყვედრეს, კარს რომ აღებ, განა როცა დაგჭირდება, შესძლებ მის ჩაკეტვასო. ასეთი საჭიროება თავის დღეში არ დადგებაო. აი პასუხი მეფისა.

რაკი რუსეთი დამკიდრდა საქართველოში ქართველ ერის სურვილით და ნებაყოფლობით, რუსეთი შეუდგა თვის ფართო ესრედ წოდებულ აღმოსავლეთის პოლიტიკას, რომელიც დღესაც არ შეჩერებულა. რითაც კი შეეძლო, ქართველი ხელს უწყობდა ასეთ პოლიტიკის მსვლელობას და დღესაც პირნათლად ასრულებს თვის მისსიას.

ვის არ მოეხსენება, რა დიდი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა აქვს ძველის-ძველად კულტურით განთქმულს და დღეს დაძაბუნებულს აზიას. დიდი ხანია აქ ბატონობს ინგლისი ახლა აქეთ პირი ჰქნა გერმანიამ. რუსეთის აღმოსავლეთის პოლიტიკის წვერიც კარგა ხანია აქეთ მიიხარა, ეს მოხდა მაშინ, როდესაც დარიალის კარით რუსეთი საქართველოში დაბინავდა.

რაკი ასეთია ისტორიის გაკვეთილი, სრული სამართლიანობა მოითხოვს, რომ მოამაგე ერს მიენიჭოს უფლება თავის თავის მოვლა-პატრონობისა, რათა განავითაროს თვის ეროვნულნი ძალნი საბედნიეროდ როგორც იმპერიისა, აგრეთვე თავის თავისა.

ამ იმედით და სასოებით ვეგებებით დიდ მთავარს ჩვენ, ქართველნი და უსურვებთ ბედნიერებას და კეთილად მობრძანებას.

ა.—ლი.

# პეტროგრადში

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

VI

უცნაურ დღეში ვცხოვრობთ! რასაც გუშინ ვერც კი წარმოვიდგენდით დღეს ცხადდება და ხვალ კი ვინ იცის როგორ შეიცვლება.

განა წარმოსადგენი იყო, რომ იმ სიტყვების შემდეგ. რომელიც სათათბიროს ტრიბუნიდგან გაისმა ცენზურის და ცენზორების შესახებ და ან იმ შედეგების შემდეგ, რომელიც დროებითი სამხედრო ცენზურის შემოღებას მოყვა, შესაძლებელი იქნებოდა ისეთი სიბოროტის დაკანონება, როგორიც წინასწარი ცენზურაა?

სწორედ ათი წელი სრულდება მის შემდეგ, რაც რუსეთის ხალხმა დიდის ვაებით, საქმით თუ სიტყვით, აღსრულებული კონსტიტუცია მოიპოვა.

რამდენად იქმნა დაცული ეს აქტი ყველამ უწყის და ამაზედ ლაპარაკიც ზედმეტია, მაგრამ ქაღალდი, რომელმაც აუწყა ქვეყანას ამ აქტის დამტკიცება ოფიციალურად მაინც არ გაუქმებულ და კონსტიტუციონალურ ქვეყანათა სიაში რუსეთი ჯერაც ირიცხება. 14 ენკენისთვეს 1915 წ. მთავრობის ერთმა ჯგუფმა მინისტრთა საბჭოში წარადგინა პროექტი წინასწარი ცენზურის შემოღებისა და მით კონსტიტუციის ფუძესი—ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების მოსპობა მოინდომა.

რომ ცენზურა აქამდისაც არსებობდა, ყველამ იცის და რა სასაცილო სისულელემდის მისულან მრავალი ცენზორები, განსაკუთრებით განაპირა მხარეებში, ეს სხვაზედ უფრო ჩვენ გამოგვიცდია, მაგრამ დაკანონება იმისა, რისი თქმაც კი რცხვენია რუსეთს ევროპაში, მხოლოდ უკანასკნელ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს თუ მოუვიდოდა თავში, რის საუკეთესო დამამტკიცებელიცაა ის, რომ მინისტრთა საბჭოს სხდომაზე ვერც კი გაბედეს წარდგენილი პროექტის განხილვა და პრესაშიაც თავს იმართლებენ, რომ სხდომაზე ესეთი არაფერი არ გარჩეულაო.

შეიძლება იგი მართლაც არ გარჩეულა, მაგრამ ასეთ პირობების წარდგენის ფაქტს ვერვინ ვერ უარყოფს და ესეც თავის თავად საკმარისია.

თუმც წადილი არ აუსრულდად, მაგრამ იარაღს მაინც არა ყრიან და აი კიდევაც დაავალა გორემიკინმა ბეჭდვითი სიტყვის საქმეების გამგეს ახალი პროექტის შემუშავება და რაც დღეს არ მოხერხდა, ვინ იცის ხვალ როგორ შეიცვლის სახეს. საინტერესოა აგრეთვე თ-დ შჩერბატოვის პოლიტიკა.

როგორც ამბობენ კატენინთან ერთად მანაც მოაწერა ხელი პროექტს. მინისტრთა შორის აქამდის იგი ცნობილი იყო როგორც პატივის მცემელი ბეჭდვითი სიტყვისა და თითქმის ერთად ერთი უძლიერესი დამცველი მისი.

სამი დღის წინად ინტერვიურებს განუცხადა, რომ იგი წინააღმდეგია ცენზურის შემოღებისა და საქმით კი სრულებით წინააღმდეგი მოიმოქმედა.

ლ. ჯ—იძე.

პეტროგრადი 15 სექ.

# ახალი ამბავი

**მეფის მოადგილეს, დიდს მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს,** მიეგებებიან თბილისის ვაგზალში: თანაშემწენი მეფის მოადგილისა; სამხედრო პირნი, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის განკარგულების თანახმად; მეფის მოადგილის საბჭოს წევრნი; თბილისის გუბერნატორი და ვიცეგუბერნატორი; თბილისის გუბერნიის და მაზრების თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, მათი თანაშემწენი და თავად-აზნაურთა დეპუტატები; თბილისის პოლიცმეისტერი; თბილისის ქალაქის მოურავი და მისი მოადგილე, თბილისის ვაჭართა და მოქალაქეთა მამასახლისები და ხელოსანთა მოურავი. გარდა ზემო აღნიშნულ პირთა ვაგზალში არავის შეუშვებენ. ვაგზლიდან მისი უმაღლესობა, მიხეილის პროსპექტით, ვერის ხიდით, გოლოვინის პროსპექტით, სასახლის ქუჩით და შუა ბაზრით, სიონის ტაძარში გაემართება. იქ მას დაუხვდებიან შემოსილნი: საქართველოს ეგზარხოსი, მაღალ ყოვლადუსამღვდელოესი პიტირიმი, ეპისკოპოსი ანტონი, სამღვდელოება და მგალობელთა ორი გუნდი—ეგზარხისა და ქართული, რომელთაგან უკანასკნელი ქართულ ეროვნულ ტანისამოსში იქნება გამოწყობილი. ეგზარხოსი შესაფერი სიტყვით მიმართავს. ღვთის მსახურება და გალობა შესრულებულ იქნება სლავიანურსა და ქართულს ენაზე. სიონის ტაძრიდან დიდი მთავარი სასახლეში წაბრძანდება.—ვაგზალში მობრძანებიდან სიონში მისვლამდე ყველა ეკლესიაზე განუწყვეტელი ზარების რეკვა იქნება. სიონში თბილისის მთელი სამღვდელოება არ დაესწრება; ყველა სამღვდელოება თავ-თავის ეკლესიაში დარჩება და სამშვიდობო პარაკლისს გადაიხდის.

**აჭარლების გასამართლება.** ბათუმიდან მიღებულ ცნობებით, ცხრა აჭარელთა შორის, რომელთაც სახელმწიფო ღალატს აბრალებდნენ და სამხედრო სამართალში იყვნენ მიცემული, სასამართლომ ექვსს მიუსაჯა ყოველივე უფლების ახდა და სიკვდილით დასჯა. მაგრამ ამასთანავე სასამართლომ დაადგინა იშუამდგომლოს მეფის მოადგილის წინაშე, სასჯელი შეუმსუბუქოს მათ. სამი ბრალდებული სასამართლომ გაამართლა.

**ქართული წარმოდგენა.** დღეს, 23 სექტემბერს, ხარფუხის საზოგადო კლუბში ქართულ დრამატიულ მსახიობთა მიერ გაიმართება ქართული წარმოდგენა. შესვლა წარმოდგენაზე უფასოა.

**პოლიტეხნიკუმი.** ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს: „წინანდელ შუამდგომლობის შესავსებლად გაუწყებთ, რომ 21 სექტემბერს ქალაქის საბჭომ დაადგინა 150 ათასი მანეთი გადაღოს პოლიტეხნიკუმის პირველ ხარჯების დასაფარავად და საჭირო შესაფერისი შენობები დაუთმოს ინსტიტუტს, თბილისში თუ გადმოიტანენ იმას; აგრეთვე საჭირო ხარჯი გაიღოს პროფესორების სამგზავროდ თბილისში. ჩვენს ქალაქში სრული მშვიდობიანობაა. აქ თავი შეაფარა ბევრმა დაწესებულებამ, რომელნაც სხვა ქალაქებიდან გამოვიდნენ“.

**ხმოსნების მიღება** მეფის მოადგილე, დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, ქალაქის თვითმართველობის დეპუტაციის მიიღებს სასახლეში ნაშუადღევის 4 საათ. 45 წუთზე. ქალაქის მოურავი იწვევს საბჭოს ხმოსნებს ქალაქის გამგეობაში ნაშუადღევის 4 საათზე, საიდანაც თვითმართველობის წევრნი გაემართებიან სასახლეში.

**გადამდები სენი.** 22 სექტემბერს ქალაქის საავადმყოფოში იმყოფებოდნენ: შავი სახადიანი 39, ქუნთრუშიანი 49, ხუნაგიანი 22, [illegible]იანი 20, მუცელიანი 2 და [illegible] 21 კაცი.

**ხოლერა.** 21 სექტემბერს ქალაქის ლაზარეთში მიიყვანეს ხოლერიანი 4 და ხოლერის ნიშნებით 1 კაცი გარდაიცვალა ხოლერიანი 1 კაცი. გუშინ, 22 სექტემბერს, ლაზარეთში იმყოფებოდნენ ხოლერიანი 131 და ხოლერის ნიშნებით 2 კაცი.

# პროვინციის ქრონიკა

—:—

**ძარცვა-გლეჯა გურიაში.**

სოფ. ქვიანში გაძარცვეს კოოპერატიული დუქანი.

———

**ნატანების** გზაზედ ავაზაკები ამ მოკლე ხანში მგზავრებს ორიგზობა თავს დაესხენ. და უკანასკნელი გროშები წაართვეს; ღარიბ მეეტლეს ცხენები მოუკლეს.

———

**ნასაკირალში** უბრალო მგზავრს დაეცნენ და წაართვეს რაც რამ ებადა.

———

**დვაბზუში** თავს დაესხენ დუქანს და რაც იხელთეს თან წაიღეს.

———

სოფ. ჭალას ერთი ღარიბი მოსახლე გაძარცვეს.

**მომაკვდინებელი ამბები.**

ს. ვანისქედში ციებ-ცხელებით ავადმყოფ სიძისთვის ბარნაბე სეფერთელაძისთვის კარაბადინით მოექიმე სიდედრს რაღაც „აბები“ მიუცია. ამბების მიღებიდან ერთ საათს არ გაუვლია, რომ ავადმყოფს სისხლის დენა ავარდნია და გარდაცვლილა.

**სახალხო უნივერსიტეტი.**

ქუთაისში კრება ჰქონდათ სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრებს. დაადგინეს ახლო მომავალში დაიწყონ მეცადინეობა. პროგრამა წინა წლებისა იქნება. სახელდობრ გაივლიან: 1) ქართულ ლიტერატურას; 2) მსოფლიო ისტორიას; 3) კანონმდებლობას; 4) ბუნების მეტყველებას; 5) გეოგრაფიას და 6) პოლიტიკურ ეკონომიას.

———

ჭიათურაში ამ ბოლო დროს ცოტად თუ ბევრად მოწესრიგდა დუქნებ-მაღაზიებისა და სავაჭროების თავთავის დროზე დაკეტა-გაღება. პოლიცია ამ საქმეში საკმაო ყურადღებას იჩენს. დააპატიმრეს რამდენიმე უდროვო-დროს მოვაჭრე პირები.

———

როგორც გვწერენ მულახის საზოგადოების (ლეჩ. მაზრა) ტყეში კერძო ინტერესით მოუკლავთ გლეხის ქალი, დინოლა გულბანი. ბოროტმოქმედი ჯერ არ შეუპყრიათ.

———

პარასკევს, 18 სექტემბერს, ქუთაისის ქალაქის თეატრში გაიმართა წარმოდგენა გრიგოლ ჩარკვიანის რეჟისორობით. წარმოადგინეს სამ მოქმედებიანი პიესა „ლეკის ქალი გულჯავარი“ და ვ. ბალანჩივაძის „კუდიანი ვარსკვლავი“. საზოგადოება ბლომად დაესწრო, წარმოდგენამ საზოგადოდ სუსტად ჩაიარა.

———

წვრილი კრედიტის ინსპექტორმა ბ. ჯაფარიძემ აღუთქვა, რწმუნებულ ბ. გიორ. როინიშვილის, რომ ახლო მომავალში დავამტკიცებთ მანდიკორის (ქუთ. მაზ.) წვრილი კრედიტის ამხანაგობის წესდებას.

———

ს. ბახვის (ოზურგეთის მაზრა) საზოგადოების შუამდგომლობა, რომ იქ დაეარსებიათ უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელი, ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორმა არ დააკმაყოფილა.

ს. ფარცხნის საზოგადოებამ (ოზ. მაზ.) მეორედ აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა შეაჩერონ სესხის სახით დარიგებული სიმინდის სათესლის გადახდევინება.

ქუთაისის გუბერნიის ყველა მაზრის წინამძღოლები გაემგზავრენ თბილისს მეფის მოადგილის დასახვედრად.

**ქუთაისის ქალაქის საბჭოში.**

15 სექტემბერს ქალაქის საბჭოში ქალაქის თავის ი. მ. ჩიქოვანის თავმჯდომარეობით კრება გაიხსნა. წაკითხულ იქმნა უმაღლესი რესკრიპტი ხელმწიფე იმპერატორის მიერ მთავარსარდლობის მიღების თაობაზე. წაკითხულ იქმნა აგრეთვე რესკრიპტი დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის მეფის ნაცვლად კავკასიაში დანიშვნის შესახებ.

რესკრიპტის მოსმენის შემდეგ საბჭომ ერთხმად დაადგინა, გაიგზავნოს დეპეშა ხელმწიფე იმპერატორთან, სადაც გამოხატული იქმნება დიდი სიხარული და იმედი აუცილებელი გამარჯვებისა.

საბჭომ დაადგინა აგრეთვე გაეგზავნოს მისალოცი დეპეშა დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს მისი კავკასიაში მეფის მოადგილედ დანიშვნის გამო.

**მშობელთა წრე.**

ფოთის ქალთა გიმნაზიის მშობელთა წრემ თავის კრებაზე 13 სექტემბერს საბჭოს წევრები აირჩია; თავმჯდომარედ ფავონი (ინგლ. კონსული), წევრებად: მღ. ზ. ცინცაძე (მდივანი), ნ. ღლონტი (ხაზინადრად), მ. ფ. მაღლაკელიძე, კ. ქოიავა, ნ. შოთაძე, ქ-ნნი დოევიალოკო და მიშჩენკო.

**სწავლის დაწყება.**

წელს აუარებელი ბავში მოაწყდა სკოლებს. მთხოვნელთა რიცხვი განსაკუთრებით ბევრი იყო სახელოსნო სასწავლებელში, სადაც ამის გამო დიდის შერჩევით იღებდენ შეგირდებს. მეტი მოწაფეები ახლო მახლო მაზრებიდან არის მოსული. სახელმძღვანელოები სამყოფი არ აღმოჩნდა, რის გამო ფასმა ერთიორად იმატა.

## თეატრის გარშემო

აი, დადგა შემოდგომა და თეატრებიც ახმაურდა. ყოველგან სეზონი იწყობა. მხოლოდ ჩვენი თეატრი ჰგლოვობს. შარშან ასე თუ ისე მივაჩანჩალებდით სეზონს. მსახიობთა ამხანაგობამ აუწერელი ენერგია დახარჯა, მაგრამ საზოგადოების წინაშე მაინც პირნათლად გამოვიდა. წელს კი სრულს აპატიას ვხედავთ. არც მსახიობთა ამხანაგობა და არც დრამატიულ საზოგადოების საქმიანობა. არა თუ საქმიანობა, თვით სურვილი საქმის დაწყებისა დახშულია. ალბად ჩვენი დრამატიული საზოგადოება სასწაულების მოლოდინში თუა, თორემ როგორ შეიძლება ასეთი ინდიფერენტიზმი? გვახსოვს, სეზონის დამლევს მან რაღაცა ჩუჩუნი დაიწყო, პრესაში შეგვესმა მათი კრებების ხმაურობა. ამბობდნენ, ვითომც მომავალ სეზონში საქმე უკეთ წავაო, აღნიშნავდნენ თვით ადგილს წარმოდგენებისას, მეტ წილად ძმათა ესიკოვების ცირკის შენობას ასახელებდნენ. ვფიქრობდით, დაპირება უბრალო დაპირებად არ დარჩებოდა და ჩვენი ხელოვნების ეს დარგი გულიანად გაიღიმებდა, მაგრამ... თურმე ყველა ეს მხოლოდ სიტყვები ყოფილა, ჩვენი თეატრი ქვრივია, გლოვას განაგრძობს და არ ვიცით, როდის იქნება მას მიეცეს ოდნავი შვება.

თითქოს ერთგვარ ბოდიშის მოსახდელად ამ უკანასკნელ ხანებში „სახ. ფურცელში" გაისმა დრამატიულ საზოგადოების წევრთა თუ არა წევრთა ერთგვარი კამათის ხმა კლუბის მამასახლისთა საბჭოს წინააღმდეგ. მკითხველი საზოგადოება ამ კამათიდან გამოარკვევდა, რომ დრამატიულ საზოგადოებას **ჰქონია** საშუალება არა თუ სეზონის გახსნისა, თვით თეატრის სვებედის რაოდენადმე გაჩარხვისა. საქმე ის არის, რომ კლუბის მამასახლისთ **საგანგებო** კრებაზე მოუწვევიათ დრამატიულ საზოგადოების წევრნი, რათა მათთან შეთანხმებით გაესინჯათ ინჟინერ მამრაძის მიერ წარმოდგენილი თეატრის აღმდგენელი გეგმა. მამასახლისთა საბჭოს ხარჯის განაწილება მოუსურვებია, მაგრამ როგორღაც თითქმის დემონსტრაციული სახით უარუყვიათ დრამატიულ საზოგადოების წარმომადგენელთ და ისე მიუტოვებიათ დარბაზი. მაშინ კლუბის მამასახლისთ უსარგებლნიათ ამითი და დამწვარ თეატრის ადგილას იმავე ინჟინერ მამრაძისთვის დაუვალებიათ საკლუბო დარბაზი გაემართათ კონცერტების დასადგმელად და ლოტოს სათამაშოდ. თქმა და საქმიანობა ერთი იყო. აი შეუდგნენ მუშაობას და დრამატიული საზოგადოებაც შეფრთხიალდა. ახლა მოიწადინა შეცდომის გასწორება და წინადადებით მიჰმართა, საკონცერტო დარბაზის გაფართოვება და სცენის იმდენად გადიდება, რომ წარმოდგენების განახლება შესაძლებელი ყოფილიყო. აქ კი ახლა კლუბისტები დადგნენ უარზე და სტუმართა თავაზი უკუაგდეს. რეზონი? თქვენ მაშინ იბვერეთ ხარჯთ-აღრიცხვა, შრომის განაწილება არ ისურვეთ და დღეს ამ დაწყებულ საქმის შეტრიალება კვლავ იმ ხარჯსაც მოითხოვს და კიდევ ზედმეტსაცაო. ესაა მთელი ისტორია. ასე უსაქმია ჩვენს დრამატიულ საზოგადოებას, ასეთი სიფხიზლე და მოქმედების უნარი გამოუჩენია.

თქმა არ უნდა, ამ ჟამად დოკუმენტალურად ვერ შევამოწმებთ ორთავე მხარის მართებლობას. ვიტყვით მხოლოდ, რომ მოკამათეებში კლუბისტები იურიდიულად იმარჯვებენ, მაგრამ **მხოლოდ** იურიდიულად და მეტი არაფერი. კლუბისტთა ფორმალური მხრით გამარჯვება ზნეობრივ გამარჯვებას არ ნიშნავს. მათ ბოროტად არ უნდა მოიხმარონ ქართულ საზოგადოების ნდობა. რაც უნდა იყოს, ახლანდელი მათი სამკალი ქართულ თეატრის ნანგრევებზე იმკება. ეს მათ **მოვალედ** ჰხდის ქართულ საზოგადოების ისეთ კულტურულ მოთხოვნილებას გაუწიონ ანგარიში, როგორიც არის თეატრი. მით უმეტეს ასეთ კრიზისის დროს, როდესაც ჩვენს მსახიობთ **არავითარი** თავშესაფარი არ მოეპოვებათ, ეს პირდაპირ ღალატი იქნებოდა, შეუწყნარებელი ჟესტი, რასაც ვერაფერი ვერ გაამართლებდა. იუწყოდენ კარგად, რომ დრამატიულ საზოგადოების გამტყუნება და ასეთი იურიდიული გამარჯვება დიდი დაფნა არ იქნება და თუ გამარჯვება იგი ბოლომდის ბოროტად მოიხმარეს, თუ არ შეცვლიან მოქმედების გეგმას, გამარჯვება იგი შავს ლაქად დარჩება ჩვენში ზრდა განვითარების ისტორიაში. კერძოდ დრამატიულ საზოგადოებაზე კი ის ითქმის, რომ ასეთი უნიათობით, ასეთი წინდაუხედაობით და უმოქმედობით მან უკვე თავისი კალო მოჰლეწა. საზოგადოება იგი ვერ ამართლებს თავის rei'son d'étre-ს და თუ გარდაცვალებულთა სიაში არ ჰსურს მოექცეს, მაშ ამოქმედდეს არა სიტყვიერი გაკამათებით, არა პირადი ჟინიანობის დასაკმაყოფილებლად, არამედ სრულის შეგნებით, რომ იგი საზოგადო დაწესებულებაა და ვიდრე ჰსცოცხლობს, უნდა კიდეც ასრულებდეს ნაკისრებ ფუნქციას.

დ. კ—ძე.

## ივერიის ეკლესიის შესახებ

(დასასრული, „საქ." № 98)

საქართველოს ეკლესიამ გაცილებით ადრე შეიძინა საღვთო წერილის წიგნების კრებული; სთარგმნა, გადასწერა და გაავრცელა ბიბლია. ცნობილია ათონი, საბა-წმინდური, და სხვა უძველესი დროინდელი ქართული დაბადებანი, მაგრამ, როგორც კულტურის ნაწარმოების ყოველგვარ დარგში, მეთვრამეტე საუკუნეში, როდესაც საქართველომ პოლიტიკური არსებობა დაჰკარგა, ბიბლიის და საზოგადოდ საღვთო საეკლესიო წიგნების გამოცემა-დაბეჭდვის საქმე შეჩერდა, გაიყინა. როგორც სჩანს 1884 წ. გამოცემული დამატების წინასიტყვაობიდან, პირველად დაბადება „აღბეჭდილა" მოსკოვს, 1743 წ. ბაქარის მეოხებით; საქართველოს ექსარხოსის პავლეს დროს დაარსდა კომიტეტი, რომლის წევრები ყოფილან ეპისკოპოზები გერონტი ალექსანდრე, არქიმანდრიტი ტარასი, დეკანოზები იმნაძე და ხელაძე 1884 წ. დაბეჭდილა დაბადება, რომელიც შესდგება ორს ვეებერთელა, ტლანქი, მოუხმარებელი, ტომებისაგან.

1894 წელში, როგორც მოგვითხრობს „ივერია" (1895 წ. № 66) ბრიტანიის საზოგადოებამ ადგილობრივ სასულიერო მთავრობას სთხოვა—ნება მიეცათ დაებეჭდათ ქართულად ძველი და ახალი აღთქმა და იაფ ფასად გაეყიდნათ ხალხში. სასულიერო მთავრობამ ძველის აღთქმის შესწორება მიანდო მ. დეკანოზს ყანჩოშვილს—(შემდეგ ალავერდის ეპისკოპოზი პეტრე) და ახალი აღთქმისა მამა არქიმანდრიტს ლეონიდს,—გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზს". პირველს მათგანს „მოსეს ხუთი წიგნი გაუსწორებია, რაც რომ შეცდომა და გარყვნილება შეპარულა, ყველა აღუნიშნავს". შემდეგ განაგრძობს გაზეთი: „ჩვენი შესწორება კი არ არის საშიში, საშიშია და დიდათაც საშიში იმ გარყვნილების დატოვება ქართულს დაბადებაში, რომელიც გულს უმღვრევს ყოველ ქრისტიანს და რომელიც არის შედეგი ჩვენი საარაკო დაუდევრობისა ბოლო ხანებში. ეს გარყვნილება შემოწმებულია იმისთანა ავტორიტეტით, როგორიც ბრძანდება ეპისკოპოზი გაბრიელი, რომელმაც ვრცელი მოხსენება წარუდგინა სასულიერო მთავრობას შესახებ ამ აუარებელი და უშვერი შეცდომებისა, რომლითაც სავსეა უკანასკნელი გამოცემა ამ ქართულის დაბადებისა. ქრისტიანთათვის საზოგადოდ და ქართველთათვის კერძოდ ზევრად უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ახალს აღთქმასა. იმედი გვაქვს, რომ იგიც მოკლე ხანში იქნება შესწორებული და განწმენდილი სრულად უნაკლულოდ, როგორც შეშვენის მამა არქიმანდრიტს ლეონიდს, მის ღრმა კეთილ-მსახურებას, მისს სარწმუნოებრივ გრძნობას, მისს ღვთის-მეტყველურ განვითარებას და მისს განათლებულ გონებასა".

თუ არ ვსცდებით, ძველი აღთქმის წიგნებიდან უნდა იყოს დაბეჭდილი და გამოცემული მხედრულად დავითნი და მოსეს წიგნები, ხოლო ახალი აღთქმისა კი, საღმრთო სახარების მეტი არაა ჯერ გამოცემული და დაბეჭდილი,—დაიბეჭდა იგი 1896 წ. სრულიად საქართველოს სინოდალური კანტორის განკარგულებით. ამ სახარებაში მართლ-წერა დაცულია, ქარაგმები არაა და წერის ნიშნები თავ-თავის ალაგასაა, რაიცა ძრიელ აადვილებს კითხვას და ნაკითხის გაგებას; იქ სჩანს ყ-დ სამღვდელო ლეონიდეს საქმის ღრმად ცოდნა და დაუშრეტელი ენერგიის გამოჩენა!

სხვა არა იყოს რა არამც თუ საღვთო საეკლესიო ქართული წიგნები, თვითონ საერო ლიტერატურაც მე-XIX საუკუნეში ვერ ასცდა შეცდომებსა. ზედმეტი ხორცები, მეჰებები მხოლოდ შემდეგში გამოაშორეს ქართულ მწერლობას. ვიმეორებთ ასეთს მდგომარეობაში მყოფს საღვთო წერილს სჭირია სხვა ნიადაგზე დაყენება, ისე როგორც გაზაფხულზე ნორჩს ვაზს უნდა გაფურჩქნა-გამორჩევა, რომ გამოუსადეგარი ყლორტები გამოეცალოს და ზრდა განვითარება არ დაუშალოს. ჩვენის ფიქრით, საჭიროა ამ საქმეზე მუყაითობა გამოიჩინოს კომიტეტმა, ამ კომიტეტს უნდა დირექტივები მიეცეს, შეივსოს მცოდნე, სპეციალისტებისაგან და ხელი მიჰყონ დროით საქმის დაბოლოვებას. საჭიროა და მიუცილებელი, როგორც რუსებს აქვს, ჩვენც გავიჩინოთ ქართული, საამდროვო ლიტერატურულ ენაზე გადმოკეთებული დაბადება, რომ ყველამ, ვისაც კი ამის წყურვილი ექნება, შეისწავლის ეს ღირსშესანიშნავი მწერლობითი ნაშთი. ღირსება უფრო მითი მიემატება ჩვენს დაბადებას, როდესაც იგი ლიტერატურულ გასაგებ ენაზე იქნება შედგენილ-გამოცემული, რომ შეძლება ექნება მდაბიო ხალხსაც წაიკითხოს და შეიგნოს მისი შინაარსი.

ამას გარდა ჩვენში დღეს ორ ნაირი შრიფტია: ხუცური და მხედრული. ერთზე იწერება საღვთო საეკლესიო წიგნები და მეორეზე საერო ლიტერატურა. ორი შრიფტის ხმარებას, თუ დაუკვირდებით, ერთი კმარა, ეს ერთი იქნება რომელიც უფრო განვითარებულია და ასეთად ჩვენ მხედრული მიგვაჩნია. ამ შრიფტით ნაწერი უფრო ადვილად წაიკითხება და მეტიც დაეტევა ქაღალდზე. ეს ცოტაოდენი პროგრესი თუ არ იქნება, ზედ მეტს ხარჯს მაინც ავიცილებთ თავიდან.

კ. გძელი.

## ქალაქის საბჭო

21 სექტემბერს კრება გაიხსნა ქალაქის თვითმართველობაში ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით. სხვა და სხვა მოხსენების შემდეგ თავმჯდომარემ მსმენელთ გააცნო ქალაქის მდგომარეობა, შეეხო ხოლერას, რომელიც აგერ თურმე 73 დღეა, რაც მძვინვარებს, ავად ყოფილა სულ 459 კაცი. აქედან 91 სამხედრო წოდებისაა, 145 კაცი გამოქცეულთა რიცხვს ეკუთვნის. დანარჩენნი ადგილობრივ მცხოვრებს წარმოადგენენ. ხოლერა ამ უკანასკნელ ხანში შესამჩნევად კლებულობსო. შემდეგ შეეხო ვარშავის პოლიტეხნიკუმის გადმოტანის საკითხს. მისი გადმოტანა აქ საეჭვოა, რადგანაც თბილისი საომარ ასპარეზის ნაწილად ითვლებაო. თბილისის უდიდეს კონკურენტად ასახელებენ ნიჟნი-ნოვგოროდს. მაგრამ თუ მეფის ახალი ნაცვალი კეთილს ინებებს, შესაძლებელია თბილისს ბედმა გაუღიმოსო. ამიტომ საჭიროა, შესაფერი შუამდგომლობა აღვძრათ მის წინაშეო. ამასთანავე საჭიროა ახლავე ვიცოდეთ, ქალაქს რამდენის გადადება შეუძლიან პოლიტეხნიკუმის შესანახადაო.

ამისათვის კრებამ ერთხმად მიიღო ქალაქის გამგეობისა და საუნივერსიტეტო კომისიის მიერ შემუშავებული შემდეგი დადგენილება: 1) შევეკითხოთ ვარშავის პოლიტეხნიკუმის რექტორს, რაში გამოიხატება მათი მოთხოვნილება და რა არის საჭირო პოლიტეხნიკუმის მოწყობისათვის თბილისში. ამ საგნის გამოსარკვევად ჩვენის ხარჯით გამოგზავნოს თბილისში რამდენიმე პროფესორი. 2) დაევალოს ქალაქის გამგეობას და საუნივერსიტეტო კომისიას, დაუყონებლივ აღძრან შუამდგომლობა ვარშავის პოლიტეხნიკუმის გადმოტანის შესახებ. 3) ეთხოვოს ბ-ნ პეტერსონს, რომ მხარი დაუჭიროს ქალაქის შუამდგომლობას. 4) გადაიდვას 150 ათასი მანეთი პოლიტეხნიკუმის პირველ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და შემდეგ ყოველ წელს ხუთი წლის განმავლობაში 30 ათასი მანეთი გადაირიცხოს პოლიტეხნიკუმისათვის. 5) შესდგეს შეერთებული კრება მცოდნე პირთა იმის გამოსარკვევად, თუ რა არის საჭირო პოლიტეხნიკუმისათვის და რის მიცემა ძალუძს ქალაქს. საჭირო თუ დარჩება, პეტროგრადში გაიგზავნოს თავ. გ. მ. თუმანოვი და სხვა.

(შემდეგი იქნება).

## ანგარიში

ხარფუხის კლუბის მამასახლისთა საბჭოს მიერ გამართული სეირნობისა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ.

**შემოსავალი:**

შემოსასვლელი ბილეთებისა 825 მან. 50 კაპ., პრემიებისა 19 მან. 91 კაპ., გაყიდული ნივთებისა 104 მან. 05 კაპ., პტიაშკო 271 მან. 55 კაპ., გასალები ბედნიერებისა 76 მან., ყვავილებისა 51 მან. 68 კაპ., კონფეტებისა 6 მან. 65 კაპ., ფოსტისაგან 17 მან. 39 კაპ., „ტუმბოჩკისა" 75 მან. 65 კაპ., მკითხაობისა 15 მან. 48 კაპ., მიზანში სროლა 18 მან 16 კაპ., რულეტი 9 მან. 85 კ., ჩაის ბუფეტისა 172 მან 11 კაპ., „თეთრი დუქნისა" 208 მან., 75 კაპ., "/₀ კლუბის ბუფეტისა 19 მან. 50 კაპ., დარჩენილი ნივთების გაყიდვისაგან 28 მან. 60 კაპ.

**შემოწირულებანი სხვა და სხვა პირთაგან:**

ივანე გიორგის ძის კუნდუროვისაგან 25 მან., ილია მიხ. ხარაშვილისაგან 50 მან., აბ. ილ. ტურაშვილისაგან 25 მან., თავ პ. დ. ერისთავისაგან 10 მან., ი. გ. ალხაზიშვილის ხელით სხვა და სხვა პირთაგან 10 მან., ს. ი. ბაბაჯანოვისაგან 40 მან., უცნობისაგან 3 მან., ლიდა ალ. კობეშავიძისაგან 10 მან., ფოშტით გ. ნ. იოსელიანისაგან 2 მან. და დ. ვ. ყანჩაველისაგან 3 მან., ხოლო სრულიად 2098 მან. 83 კაპ.

**გასავალი:**

მიეცა სხვა და სხვა ხარჯები 431 მან. 48 კაპ., წმინდათ დარჩა 1667 მან. 35 კაპ., ეს ფული გაეგზავნა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას:

მამასახლისთა საბჭო ვალად სთვლის უღრმესი მადლობა გამოუცხადოს: 1, ქართველთა შორის წერა-კითხვის (გამავრცელებელის) საზოგადოების ბაზრობის გასამართავად ნივთიერების შემოწირულებისათვის, ი. მ. ხარაშვილს, ა. ი. ტურაშვილს, ი. გ. კუნდუროვს, თავ. პ. დ. ერისთავს, ი. გ. ალხანაშვილს, ბაბაჯანოვს, უცნობს, ლიდია კობეშავიძისას, გ. იოსელიანს, დ. ყანჩაველს, ალექსანდროვის შაქრის ამხანაგობას 20 გირ. შაქრისათვის, საზოგადოებას „კახეთიის" 60 ბ. ღვინისათვის, „საეროს" 50 ბ., „მელანისას" 15 ბ., სესიაშვილის 15 ბ., ლალიძეს 100 ბოთლი ლიმონათისთვის, შარტავას სხვა და სხვა ტკბილეულობისათვის, კერვალიშვილს, გენეს, კონდიტერ „ნდობას" (Довѣріе) პატრონს, ჰადჟი რახმანოვს (ხილი), გიგო ბერიას, რაჟდენ მირინაშვილს (10 ბ. ღვინო), სხვა და სხვა პირთ. სანოვაგის შემოწირვისათვის ალ. პაპუაშვილს, ი. ბუჭურაშვილს, ა. მაისურაძეს, კ. ბურდულს, ა. მამუკაშვილს, მ. აბულაძეს, მ, კარსაძეს, ახალკაციშვილს, ი. ხოსიტაშვილს, იაკ. ბრეგვაძეს, გ. ა. გოვიჩაიშვილს, ს. ჟორჟოლიანს ა. ძეგველაშვილს, ს. ხუროშვილს, მ. ლაზიაშვილს, ი. კუშიევს და ს. კავლიაშვილს.

მამასახლისთა საბჭო უცხადებს მადლობას აგრეთვე იმ პირთაც რომელთაც ხელი მოუმართეს სეირნობის საუკეთესოდ მოწყობისათვის, სახელდობრ: ნ. ნ. ყიფიანისას სეირნობის დიასახლისს, მამედ ბეგოვისას, სენ. ჯავახიშვილისას, კარბელაშვილისას, არხიბანდისას, ნ. ლორთქიფანიძისას, ფორაქიშვილისას, ტურაშვილისას, კრასნოვსკისას, მ. გვერდწითლისას, ა. გვერდწითლისას, ალექსიძისას, ნიკოლაშვილისას, ბარნაბიშვილისას, კნ. ფავლენიშვილისას, კნ. ერისთავისას. კნ. ვაჩნაძისას, ჩაგუნავასას, აგლაძისას, ქურთაშვილისას, კნ. ბაგრატიონ დავითაშვილის ნეიმანისას, წერეთლისას, ა. ზედგინიძისას, თ. და მ. შავერდოვებისას, ჩარექოვისას, გოთუასას და ე. ყიფიანისას.

რედაქციებს: „სახალხო ფურცლისას", „საქართველოსას" და „თანამედროვე აზრისას", განცხადებების უფასოდ დაბეჭდვისათვის; რედაქციებს: „ზაკ. რეჩისას", „კავკაზს", „გოლოს კავკაზს" და „ტფილისის ლისტოკს" დაკლებული ფასით დაბეჭდვისათვის.

**ხარფუხის კლუბის მამასახლისთა საბჭო.**

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

### ამიერ-კავკასიის რ ინის გზის მიმოსვლა

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3 | ბაქოდან . . . | 12 ს. | 54 წ. | დღ. |
| № 4 | ბათომიდან . . | 5 ს. | 55 წ. | საღ. |
| „ 5 | ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. | 41 წ. | საღ. |
| № 10 | ბათომიდან. . | 9 ს. | 51 წ. | დილ. |
| | ჯულფიდან | 6 ს. | 53 წ. | დილ. |
| | ბორჯომიდან . | 7 ს. | 25 წ. | დილ. |
| | „ სააგარ. | 10 ს. | 28 წ. | საღ. |

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3 | ბათომისკენ . . | 1 ს. | 45 წ. | დღ. |
| № 4 | ბაქოსკენ . . | 7 ს. | 3 წ. | საღ. |
| № 6 | ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. | 8 წ. | დღ |
| № 9 | ბათომისკენ . . | 8 ს. | 53 წ. | საღ. |
| | ჯულფისკენ . | 10 ს. | 23 წ. | საღ. |
| | ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ. | დღ. |


თევზის მრეწველნი
ძმ. მეჯვრიშვილები
პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ, № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.
ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ, მაილოვის-შვილ", სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.


ელექტრომბეჭდავ სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან